№ 177 აგვისტო 23, სამშაბათი 1888 აგვისტო 23, სამშაბათი № 177

ივერია

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ჩიდეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ტფილისი, 22 აგვისტო

უკანასკნელი წერილი*) ჩვენ იმითი გავათავეთ, რომ ახალმა ქართულმა მწერლობამ უარ-ჰყო საეკკლესიო კილო და მიმართა სახალხო ცოცხალს ენასაო. აქ საჭიროა ისიც დავუმატოთ წინად ნათქვამს, რომ საეკკლესიო კილო დამოკიდებული იყო თვით მწერლობის ვითარებასა და მიმართულებაზედ. როგორც ვიცით, შემდეგ ბრწყინვალის კლასიკურის დროისა, ჩვენი მწერლობა თითქმის მთლად საღმრთო და საღმრთის-მეტყველო გზა-კვალს დაადგა; მწერლობის ასპარეზი შევიწროვდა, აზრისა და ფანტაზიის აღმა ფრენას ფრთები შეეკვეცა; საერო და მოქალაქობრივი ჰანგები მწერლობამ დაივიწყა, განუტევა და იმათ მაგიერ მიმართა ბიზანტიის ქრისტიანობრივს ფილოსოფიას და მართლ-მადიდებლობის დოგმატიზმს. ამნაირს მიმართულებას შესაფერი კილო ეჭირებოდა და იგი კილო გაჩნდა კიდეც: თვით ლიტერატურულმა მიმართულებამ დაჰბადა და აღორძინა საეკკლესიო კილო. ამ კილოს ისე ღრმად ჰქონდა ძირი გადგმული და ისეთი ძალა მოეპოვებოდა, რომ ახალის დროის მწერლობაშიც-კი თავი იჩინა, უფრო, რასაკვირველია, იმიტომ, რომ «ახალს» კავშირი აქვს „ძველთან“ და ჯერ-ჯერობით საკუთარი გზაც ვერ განურკვევია... აი სწორეთ ამ საკუთარის გზის განურკვევლობაში, „ძველისა“ და „ახალის“ ბრძოლაში უნდა მოიძებნოს უმთავრესი საბუთი იმ საყურადღებო მოვლენისა, რომ აქამომდე ჩვენს მწერლობას საერთო სალიტერატურო კილო არა აქვს. ჩვენი აწინდელი სალიტერატურო კილო გარკვეული და განმარტებული არ არის, «ძველი» და «ახალი» ერთი-ერთმანეთში არეულია, საერო და სათემო კილო უშნოდ და ულაზათოდ ერთად მოთავსებულია.

როდის დაიწყო ჩვენს მწერლობაში ეს ბაბილონის გოდოლი და „ენათა შეშლა“? სწორეთ მაშინ, როცა, ბ-ნ მირიანაშვილის თქმისა არ იყოს, „ახალმა დროებამ ისევ ჩვენს თემებს საზოგადო საერთო ცხოვრება მისცა“... მაგრამ აქ ცოტა უნდა შევჩერდეთ. წინად ჩვენი ახალგაზდა ფილოლოგი სულ სხვას ამტკიცებდა; იგი ამბობდა, რომ საერთო სალიტერატურო ენა თან მოჰყვება ხოლმე ერთობასაო. ჩვენ უარ-ვყავით ეს ყალბი დედა-აზრი ავტორისა და აქ ახალ საბუთად შეიძლება ისიც დავასახელოთ, რომ, თუმცა ახალმა დროებამ ისევ ჩვენს თემებს საზოგადო საერთო ცხოვრება მისცა, მაგრამ ამ გარემოებამ მაინც ვერ დაჰბადა საერთო ლიტერატურული ენა და კილო...

აწინდელი ქართული ლიტერატურული ენა და კილო „ახალის დროის“ ნაყოფია და არსებითი მისი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ იგი სრულს, შემუშავებულს არას წარმოადგენს. ამას არა თუ მარტო ჩვეულებრივი ზრდა ესაჭიროება, ამას ვინდა იტყვის, სავალალო უფრო ისაა, რომ ამ ჟამად ენასა და კილოს თავისი ბუნება დაუტოვებია, დაუვიწყნია რაც საკუთარმა გრამატიკამ უანდერძა და სწორეთ ბაბილონის გოდოლის დროის გზა-კვალს დასდგომია. რაც უნდა დიდი ნაკლი ჰქონოდა საეკკლესიო ენას, ერთი და ისიც უმთავრესი ღირსება მაინც მოეპოვებოდა — იგი ენა სრულს სხეულს წარმოადგენდა, საკუთარს არსებასა და დაწესებულებას, რომელშიაც თვითოეულს ნაწილს თავისი ადგილი ეჭირა... ეს სრულებით არ ითქმის აწინდელს ენა-კილოზედ: ჩვენის დროის ენა-კილო ისეა დაქსაქსული, რომ თავი ბოლოს ვერ ებმის და ბოლო თავსა.

აწინდელს ენა-კილოში ბევრჯელ საკუთარი კანონი და გრამატიკული ფორმები განდევნილი და დავიწყებულია, საეკკლესიო კილოს სათემო კილო უდგია გვერდით, ცოცხალს სახალხო ენას ხშირად ამახინჯებს ძველის მწიგნობრულის ენის ფორმა-კანონი. ამიტომაც ახალმა ენა-კილომ სრულიად დაჰკარგა ის სიმშვენიერე და ფორმის ლაზათი, მიხვრა-მოხვრა და სიმდიდრე სიტყვებისა, რომელიც ასეთს დიდს ფასსა სდებდა კლასიკურს ენას. ახალის ენა-კილოს ღირსება მეტად მდარეა და თუ ქება-დიდება ეთქმის, რასაკვირველია, ძველს კლასიკურს ენას უნდა ეთქვას.

ენა-კილოს ამ ნაირი შეშლა, როგორც ვთქვით, უმთავრესად იქიდგან წარმოსდგა, რომ საეკკლესიო და საერო კილო ერთი-ერთმანეთში აირია. წარსულმა საუკუნემ ახალს დროს თავისი სამწერლო ენა უანდერძა. ახალმა დრომ კიდევ მწერლობის ასპარეზზედ ახალი საგნები და ჰანგი წამოაყენა, ახალის აზრის მიმდინარეობა წარმოშობა. რასაკვირველია, ახალის აზრისა და საგნისათვის, ახალის ჰანგისათვის ახალი ენა-კილო იყო საჭირო და ამიტომაც მწერლობამ მიმართა ხალხის ცოცხალს ენას, მაგრამ ამავე დროს თავიდამ ვერ აიცილა საეკკლესიო კილოც...

ჯერ ერთი ესა, რომ ეგრედ წოდებული ცოცხალი ენა, ის ენა, რომელზედაც ჩვენი განუვითარებელი და სწავლა-განათლებით გაუწვრთნელი ხალხი ლაპარაკობს, მასალაა მწერლობისათვის და არა მზა იარაღი. იმას შემუშავება და განვითარება ეჭირება და უამისოდ იმისი მწერლობაში ხმარება სრულებითაც არ მოასწავებს სამწერლო ენის გამდიდრებასა და წარმატებას. სწორეთ ასეც დაემართა ჩვენს სამწერლო ენას. „ცოცხალს ენას“ შემუშავება ეჭირებოდა, ჩვენმა მწერლებმა-კი აიღეს და პირდაპირ შეიტანეს იგი მწერლობაში, გვერდით დაუყენეს ფორმალურად განვითარებულსა და დამთავრებულს საეკკლესიო ენას, — რასაკვირველია, სამწერლო ენა აირეოდა, შეიშლებოდა. მეორედ, — სახალხო ცოცხალს ენაზედ ბევრად შეუძლებელი და მოუხერხებელი იყო წერა ზოგიერთ საგნის შესახებ, იმ საგნებისა, რომელნიც ახალმა დროებამ გამოიწვია ცხოვრებაში.

თუმცა წარსულს საუკუნეში საქართველოს ცოტა მაინც გონებითი დამოკიდებულება ჰქონდა ევროპასთან, მაგრამ მაინც ევროპული სწავლა-მეცნიერება ჩვენთვის ახალი ხილი იყო და როცა ამ ხილის გემო ვიგემეთ, მოვიწადინეთ იმისი დანერგვა სამშობლო ნია-

---

*) იხ. „ივერია“ № 171

ფელეტონი

ქაჯი ხალხის შეხედულებით იმერეთში.

ქაჯი, ხალხის შეხედულებით, კაცის მსგავსია და დიდი ვეებერთელა ტანისაა, უშნო შესახედავი და თავსზარ-დამცემი თავისის სახის გამოხატულებით. ტანზე თმა ასხია და, რასაკვირველია, ტანისამოსი არ აცვია; გულზე აქვს დიდი ეკლები, რომელთაც, როცა გაჯავრდება, აუშვებს. ქაჯს არა აქვს მოსვლისა და წასვლის დრო, როგორც, მაგალითად, ჭინკას *), და მუდამ აქ არის. ქაჯი ძალიან განირჩევა ჭინკისაგან. ჭინკა უფრო შინაურივით არის და ავნებს შინაურს საქონელს, ნივთებს და ავეჯეულობას, ქაჯი-კი გარეულია, არ ეკარება სახლს და არც ავნებს შინაურს რასმე; იგი ავნებს თვითონ კაცს, თუ გზაში შეეხჩა, დაუწყებს ჭიდაობას და, თუ დაიმორჩილა, არ მოჰკლავს, მაგრამ ძალიან-კი „დააყუებს“ (დაამტვრევს). ჭინკის საცხოვრებელი ადგილი ხალხმა არ იცის ნამდვილად, ქაჯი-კი, ხალხის აზრით, სცხოვრებს დიდს კლდეებში, გამოქვაბულებსა და მიყრუებულს ადგილებში, ღელეებსა და წყალში. საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, ქაჯი ორ ნაირია: ერთი არის წყლისა (წყალში მცხოვრები), მეორე — ხმელეთისა (ხმელეთზე მცხოვრები). რადგან თავისის მოქმედებით ქაჯი ძალიან წააგავს კაცს, ამისათვის ხალხს ქაჯისათვის სხვა სახელიც დაურქმევია წყლის კაცი და ტყის კაცი.

ორისავე ჯურის ქაჯნი დადიან ქვეყნად დაბინდებიდამ მამლის ყივილამდე; შემდეგ-კი ისევ მიიმალებიან თავიანთს ადგილებში. ღამე ის დახეტიალებს აქეთ-იქით და ერიდება კაცსა. ხმელეთის ქაჯი თუ შეეხჩა კაცს, მაშინვე ჭიდაობას დაუწყებს და ამის მაგალითებიც ბევრია ხალხში; წყლის ქაჯი-კი უფრო არ ეკიდება კაცს და ხალხში თითქმის ვერსად ეპოვე მაგალითი, რომ წყლის ქაჯი კაცს დასჭიდებოდეს. აი, მაგალითად, როგორ მოგვითხრობს ხალხი ტყის ქაჯისა და კაცის დაჭიდების ამბავს.

ერთს კაცს დაეკარგა ხარი და წავიდა საძებრად. ბევრი ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. გზაში დაუღამდა. „ვახშმობა“ იქმნებოდა, როდესაც ამ კაცმა გამოიარა ერთს მიყრუებულს ადგილზე. ეს იყო კლდეებიანი ადგილი და ძირს მდინარე მიდიოდა. მდინარის პირზე ცეცხლი ენთო და იმის გარშემო ისხდნენ „ვილაცები“ და ვახშამს შეექცეოდნენ. კაცს მეთევზეები ეგონა და იმათთან მისვლა დააპირა. პატარა რომ ჩაიარა და კარგად დაუკვირდა, სულ სხვა წარმოუდგა თვალწინ: ესენი იყვნენ წყლის ქაჯები; თავით-ფეხამდის თმით იყვნენ შემოსილნი. კაცს შეეშინდა და უკანვე გამობრუნდა. პატარა რომ გამოიარა, წინ შემოხვდა ერთი მაღალის ტანის კაცი. ამ კაცმა ერთის შეხედვითვე იცნო, რომ ეს ქაჯი იყო და არა კაცი, მაგრამ ვინაობა მაინც ჰკითხა. პირველად გამარჯობაც უთხრა, მაგრამ ქაჯმა ხმა არ გასცა. ხალხის რწმუნებით, თუ ქაჯი შემოგხვდა წინ, მაშინვე შენ უნდა დაასწრო პირველად „გამარჯობა“. თუ შესცდა და „გაგიმარჯოს“ გითხრა, მაშინ გამარჯვებული შენ დარჩები და ჭიდაობაში შენ აჯობებ და, თუ ხმა არ გაგცა, მაშინ-კი საქმეოა, რომელი დასძლევს. თუ იმან გილოცა პირველად „გამარჯობა“, მაშინ შენ არ უნდა გასცე ხმა. ჩვენმა ხარის მძებნელმა კაცმაც პირველად ულოცა «გამარჯობა» ქაჯს, მაგრამ ვერ შეაცდინა, ქაჯი ეცა კაცს და დაიწყეს ჭიდილი. შეიბნენ და იჭიდავეს დიდხანს. შემდეგ ქაჯმა დაიმორჩილა კაცი და ისე სცემა, რომ უგრძნობლად დააგდო. მეორე დილას გაიარეს ამ ადგილზე კაცებმა და ნახეს ქაჯისაგან დამტვრეული კაცი. აიყვანეს, მოიყვანეს გრძნობაში და ათქმევინეს რაც მოსვლოდა.

ამ ნაირად, თუ ქაჯმა დაიმორჩილა კაცი, მაშინ იგი სცემს და ისე დასტოვებს; თუ კაცმა დაიმორჩილა, მაშინ შეუძლიან დაიჭიროს ქაჯი და წამოიყვანოს შინ. აი ამისი მაგალითიც:

ერთი კალატოზი მუშაობდა მღვდლისას. ერთხელ „ნავახშმიებს“ (ვახშმის შემდეგ) კალატოზი შინ წავიდა. ღამე მთვარიანი იყო. კარგა მანძილზე რომ მოშორდა სოფელს, გზაში შემოხვდა პატარა ბავშვი. კალატოზმა იფიქრა: ალბად ეს მწყემსია, მინდორში დასძინებია და დაჰღამებიაო. ბავშვი რამდენსამე ნაბიჯზე გაჩერდა. კალატოზმა მიიწია ახლოს ბავშვის გასასინჯად, მაგრამ ბავშვი ახლოს არ იკარებს და, რამდენსაც მიიწევს მისკენ კალატოზი, იმდენს ბავშვი უკან დაიხევს; გაჩერდება კალატოზი და ბავშვიც გაჩერდება. შემდეგ კალატოზმა ჰკითხა, ვინა ხარო, მაგრამ ბავშვმა არ გასცა ხმა, მერე კალატოზმა უკან დაიწია, მაგრამ დახეთ იმას გაკვირვებას: ბავშვი თან წამოჰყვა! რამდენსამე ხანს იარეს ასე წინ და უკან კალატოზმა და ბავშვმა. შემდეგ ბავშვი ამაღლდა, გაიზარდა და დიდ კაცად გარდაიქცა. ამას შემდეგ, როდესაც კალატოზმა მიიწია იმისკენ, გაზრდილმა ბავშვმა უკან აღარ დაიწია და პირდაპირ ეცა კალატოზს. მაშინ-კი მიხვდა საწყალი კალატოზი, რომ ეს, მწყემსი-კი არა, ქაჯი იყო!.. დიდხანს იჭიდავეს ქაჯმა და კალატოზმა. შემდეგ კალატოზმა ხელებით მაჯები დაუჭირა ქაჯს და, რადგან ქაჯს ძალიან წვრილი მაჯები აქვს, კალატოზმა ძალიან „შამოაფსკვინა“ ზედ ხელები და ხელებ-დაკავებული მოიკიდა ზურგზე ისე, რომ ქაჯის ზურგი კალატოზის ზურგზე იყო და პირი-კი მაღლა. ასე გაკავებული წამოიყვანა კალატოზმა ქაჯი შინისაკენ. ქაჯი ძალიან სცდილობდა როგორმე დაეღწია თავი, მაგრამ სულ ამაოდ... რომ ველარაფერი გააწყო, ქაჯმა გზაში თავზე თავის ცემა დაუწყო კალატოზს, ისე, რომ საწყალ კალატოზს თავი გაუბრუა. ყველაფრით დამორჩილებული მოჰყავდა კალატოზს ქაჯი, მაგრამ ერთი ფიქრი აწუხებდა: ეზოს ჭისკრები დაკეტილი იქნება და ქაჯს ველარ შევიყვან შინაო. მივიდა ჭისკრებთანაც და იმის იღბალზე პატარა კარი ღია დახვდა. გავიდა კარებში კალატოზი, მაგრამ ქაჯმა კარებს ფეხები გამოსდვა და აღარ გამოჰყვა კალატოზს. დიდხანს იწვალა კალატოზმა და შემდეგ, როგორც იყო, გამოჰკლიჯა ქაჯი კარებიდამ და მიიყვანა სახლის დერეფანში. ეხლა აქ სახლის კარებზე ურახუნა, მაგრამ კარის გამღები არავინ გაუჩნდა, რადგან შინ ყველას ეძინა. მაშინ კალატოზმა მოიფიქრა, რომ განის კარი იყო სუსტი, მოიარა იქით, ჩაჰკრა კარებს წიხლი და ჩაამტვრია. ეხლა ამ კარებს გამოსდვა ფეხები ქაჯმა და აღარ შეჰყვა შინ კალატოზს, მაგრამ კალატოზმა, როგორც იყო, შეათრია ქაჯი სახლში. შინ ბნელოდა და კალატოზმა დაუწყო ღვიძება შინაურებს, მაგრამ შინაურები ისე დააძინა ქაჯმა, რომ წიხლის ცემითაც ვერ გამოაღვიძა კალატოზმა. შემდეგ მივიდა და ცეცხლის გამოჩხრეკა დააპირა. ამისათვის ცალი ხელი შეუშვა ქაჯს და „საკეცე“ (მაშა) მოძებნა. გამოჩხრიკა ცეცხლი თუ არა, ქაჯი დაიძრა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადაუგრიხა ხელი კალატოზსა და გაიქცა. კალატოზმა ერთი ძალიან დაიღრიალა და გამოეკიდა ქაჯს. ამის ღრიალზე გამოეღვიძათ ყველას და ესენიც კალატოზს

---

*) იხ. „ივერია“ № 227 1886 წლისა.

დაგ ზედ. მაგრამ სამუშაო იარაღი — ენა ვერ გამოგვადგა ხეირიანი, ამ იარაღს ბევრი რამე აკლდა. აი რამდენი ხანია ეს იარაღი ჩვენს მწერლებს ხელში უჭირავთ და ახლაც-კი საუკეთესო მწერლებს უჭირდებათ და უძნელდებათ ამ იარაღით გაავრცელონ ჩვენს საზოგადოებაში ევროპული მეცნიერება. ვინ არ იცის, მაგალითად, რა ძნელია ჩვენში რომლისამე თხზულების დაწერა, აი თუნდა ფიზიოლოგიაზედ, ქიმიაზედ და სხვ... დროებამ-კი კარზედ მოგვაყენა ახალი მიმდინარეობა, ახალი სწავლა და მეცნიერება. ძველი საეკლესიო ენა ამ ახალს არ შეეფერებოდა, ახლისათვის უვარგისი იყო; ახალი ცოცხალი ენა კიდევ განუვითარებელი და შეუმუშავებელი გახლდათ. აი სწორეთ აქედგან წარმოსდგა ენის შეშლა, საერო და საეკკლესიო კილოს შეერთება.

მაგრამ ერთს გარემოებასაც მეტად დიდი ზედ-მოქმედება ჰქონდა აწინდელის ქართულს ენის ბედ-იღბალზედ. ეს გარემოება ის გარემოებაა, რომელმაც „ჩვენს თემებ'ს საზოგადო, საერთო ცხოვრება მისცა“, ესე იგი, რუსეთთან შეერთება. ამ გარემოებამ ჩვენთვის საჭირო და სავალდებულო გახადა ახალის, საზოგადო სახელმწიფოს ენის შესწავლა, რუსულის ენის შეთვისება. ამიტომაც რუსულის ენის გრამატიკამა და კილომ დიდი გავლენა იქონია ჩვენს სამწერლო ენაზედ. და ეს რომ ასეა, მტკიცდება იმ რუსიციზმებით, რომელიც ქართულს გრამატიკასა და ენას მოდებული აქვს ყველამ კარგად იცის, რომ რუსული ენა ჩვენთვის ძლიერი იარაღია, ურომლოდაც ევროპიულის მეცნიერების მიღება არ შეგვიძლიან, მაგრამ რუსულმა ენამ-კი მაინც გზა-კვალი შეუშალა ჩვენს გრამატიკას, ჩვენის ენის ნორმალურს ზრდას...

ნ. უ—ელი

◆

ახალი ამბავი

⁂ 21-ს ამ თვისას, საღამოს ხუთს საათზე, მთავარ-მართებელი კავკასიისა თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი კახეთიდგან ტფილისს ჩამოვიდა.

⁂ ამ თვეს ოცს ტფილისის კადეტის კორპუსში დაიწყო ეგზამენები. იმდენი თხოვნა შეუტანიათ, რომ დიდ-ძალი ყმაწვილი მიუღებელი დარჩებაო.

⁂ 12 ს აგვისტოს მერვე თუ მეცხრე საათზე, საღამოზედ, სოფელ გურამიანთ კარის მახლობლად, ორს-სამს ვერსზედ, ეგრედ წოდებულს საფოშტო გზაზედ, კაცი მოუკლავთ. მკვდარი მეორე დღეს დილით უნახავთ და ნათესავებს ურმით წამოუღიათ შინ. მოკლული აღმოჩნდა გურამიანთ-კარის გლეხ-კაცი ნინიკა კახელი. მკვლელი დღეს აქამომდენაც ვერ უპოვიათ. ნინიკა კახელი მოდენილა იმ დღეს ქალაქიდამ; ვისაც გზაზედ უნახავთ მიმავალი ნინიკა, ისინი ამბობენ, რომ თვალ-ნათლივ აიარაო მცხეთის გამოღმა დუქნები და შინ მწუხრზედ უნდა მისულიყოო. ზოგი ამბობს, მტერი ვინმე ჰყოლია ჩასაფრებული და იმას მოუკლავსო. ზოგი-კი იძახის, რომ ნინიკა კახელი ძალიან გაბედული ვაჟკაცი იყოო და თუ საეჭვო კაცს შეჰხვდებოდა ხოლმე, გამოეკიდებოდაო. უსათუოდ ამისთანა კაცი შეჰხვდებოდა, ლაპარაკი მოუვიდოდა, იქნება წაქურდალი რამეც შეამჩნია და თითონაც ქურდი იცნა და ამის გამო ქურდმა მოჰკლა, რომ არ იქმნას გამხილებული ნინიკასაგანაო. ნინიკა უირაღოდ ყოფილა. მკვლელს არაფერი წაუღია-რა გარდა ნინიკას ქუდისა და გუდისა.

იმ ღამეს, როცა ეს უბედურება მოხდა, მახლობლად ყოფილან ღამის მეხრეები. ამათ გაუგონიათ, რომ სამი თოფი გავარდნილა; გარდა ამისა გაუგონიათ ყვირილიც: „მიშველეთ, მომკლესო!“ ეს ყვირილი მესამე თოფის გავარდნაზედ შეწყვეტილა. ამბობენ, ამ მეხრეებს ნუგეშის ხმა რომ მიეცათ, ავაზაკები გაფრთხებოდნენ და კაცი სიკვდილს გადარჩებოდაო. მაგრამ სად არის ეხლანდელებში ან გული, ან გულ-შემატკივრობა...

რამდენსამე კაცს უნახავს, რომ ნინიკასთან ერთად მოდენილა ერთი ვიღაც სხვა კაცი. ეს უცნობი კაცი უსათუოდ შეჰყრია მცხეთის გამოღმა დუქნებს ზემოდ, რადგანაც მცხეთის მედუქნეებს ნინიკა უნახავთ მარტოდ მიმავალი. სჩანს ის კაცი მერე შეჰხვედრია. მნახავთ ის კაცი ვერ ეცნოთ. თურმე რუსული ქუდი ჰხურებია, გრძელს ნაბადში ყოფილა გახვეული და ფეხზედ რუმბის ქალამანი სცმია. სწორედ ამ ნიშნების კაცი იმ დილას ადრიანად ენახა ერთს მეზვერეს, რომელსაც სანახევროდ უჭირავს ზვარი სოფელს წიწამურში. ეს წიწამური თითქმის შუა გზაა მცხეთის გამოღმა დუქნებისა და გურამიანთ-კარის შორის. მეზვერე დილით ადრე გამოსულა საკურდღლეთოდ და ის კაცი ნაბადში გახვეული მძინარე ენახა ცარიელ დუქნის დერეფანში. ეს დუქანი სდგას გურამიანთ-კარში მიმავალ გზის პირას. მეზვერე გაჰხმაურებია და იმ კაცს გამარჯვებაზედაც პასუხი არ უთქვამს. მერე იგივე კაცი ეჰხვედრია ხევში მწოლარე იმავე მეზვერეს, კიდევ გამოჰლაპარაკებია და იმას მაინც ხმა არ გაუცია. იგი კაცი მერე მკვლელობის შემდეგაც შიგ სოფელშიაც უნახავთ, იმავე ნიშნებიანი, დუქანში პური უყიდნია და წასულა. დღესაც არ იციან ვინა ყოფილა და რად ხეტიალებულა ეს უცნობი რუსულ-ქუდა კაცი იმ არე-მარეში. როგორცა ვსთქვით, ორს კაცს უნახავს, რომ იმ საღამოს ნინიკა კახელი და ის რუსულ-ქუდა ერთად მიდენილან გურამიანთ-კარისაკენ. იმ საღამოს ნინიკა მოჰკლეს და ის რუსულ-ქუდა კაცი-კი სადღაც ჩაიყლაპა.

⁂ გუშინ საღამოს, ვარანცოვის ხიდის ყურთან, ჩუღურეთის შესახვევში, ვიღაც იმერელი და სომეხი ძროხებსა ჰრეკავდნენ. დაუსწორდენ თუ არა ერთს ბაყალის დუქანს, ერთმა თათარმა გადისროლა რაღაც დამპალი და თავში მოახვედრა იმერელს. იმერელმა სამაგიეროდ სილა გაარტყა, ატყდა ჩხუბი, თათარს თათრები მოეხმარნენ, იმერელს კიდევ სომხები და კარგა კრივი გაიმართა. ჩხუბი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ერთი ყმაწვილს კაცს პოლიციელი არ მოეყვანა.

⁂ ჩვენ მივიღეთ სამასი ეგზემპლიარი ქუთაისის საკათედრო სობოროს მღვდელ რაჟდენ გიგაურის თხზულებისა: „ცხოვრება, შრომა და მიცვალება წმიდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა ოთხთა მოციქულთა და მახარებელთა: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანნე ღვთის-მეტყველისა“. ასი ცალი ავტორს შეუწირავს წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლისათვის, ასი—ახალ გორის სკოლისათვის და ასიც—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“.

⁂ ამ უკანასკნელს ხანებში ჩვენი პოლიცია ძალიანა ფრთხილობს; განსაკუთრებით სასტიკად ექცევა უპასპორტოებს.

⁂ როგორც შევიტყეთ, სოფელ ხოვლეში წარმოდგენის გამართვას აპირებენ ამ თვის დამლევს საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ. წარმოდგენის მოთავე ქნ. მარია ჯავახიშვილისაა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენის დასის არტისტებიცა.

⁂ **გორი:** 18-ს ამ თვისას გორიჯვრის ძირში იპოვეს ყელ-გამოჭრილი კაცი, რომელსაც რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა; როგორც ამბობენ, დანით არის მკვდარიო. ჯერჯერობით ვერც თვითონ მოკლული გაუგიათ ვინ არის და ვერც მკვლელი უპოვნიათ. ამბობენ, ვითომც ცხვარი ჰყოლოდეს გასაყიდი და იქვე სამი ცხვარი დუმებ-დაჭრილი და ყელებ-გამოჭრილი ეპოვნოთ. იქ, სადაც მოკლული უპოვნიათ, უნახავთ აგრეთვე ორი სოფლის „სუდიის“ მენდალი.

◆

მგზავრის დღიურიდამ

(შემდეგი *)

ჩვენს წერილში არ გვექნება გარჩევა წოვა და დანარჩენ თუშთა შორის.

*) იხ. „ივერია“ № 173.

გამოუდგნენ უკან. სდიეს, მაგრამ ვერ მოეწივნენ, სანამ იმ ადგილზე არ მივიდა, სადაც ჭიდილი ჰქონდათ; აქ-კი თვითონ გაჩერდა კალატოზი. მივიდნენ მდევნელნი და წამოიყვანეს შინ. კალატოზს შიშით ენა ჩავარდნოდა და, როდესაც მღვდლები მოიყვანეს და მღვდლებმა ულოცეს, მხოლოდ მაშინ ამოიდგა ენა და დაიწყო ლაპარაკი. ყველაფერი ახსოვდა, რაც შეემთხვა გარდა იმისა, რომ ქაჯს უკან გამოეკიდა... ეს კალატოზი თვითონ მე მინახავს და თვითონ მიამბო ეს ამბავი. ვერას გზით ვერ დავაჯერებთ, რომ ნამდვილად ქაჯი არ დაეჭიროს.

თუმცა ქაჯის დაჭერა შესაძლოა, მაგრამ იმისი მოშინაურება, ანუ შინ დაკავება თმისა და ფრჩხილის მოჭრით არ შეიძლება, როგორც მაგალითად ჭინკისა. ხალხმა არ იცის იმისი მაგალითი, რომ ქაჯი ვისმეს მოეშინაურებინოს. ვინც ქაჯს დაიჭერს, იმისს გვარს არასოდეს არ მიეკარება ქაჯიო.

გარდა შეხვედრებისა ზოგი ქაჯი თვითონ გამოუდგება ხოლმე კაცს. ამისთანა შემთხვევაში, თუ თან დაგესწრო, ღვინო უნდა ასვა ქაჯსა და, რადგან ძალიან უყვარს და მეტად ეკიდება ღვინო, უარს არ იტყვის და მალეც დაითვრება. დათრობისათანავე მიეძინება. მაშინ კაცს შეუძლიან ადვილად თავს უშველოს.

ზემო იმერეთის ბატონმა ივანე აბაშიძემ [1] გაჰგზავნა ყმა ხოსიკო ნინიკაშვილი ქუთაისს თავისს დედასთან, სოფ. შროშიდამ, სადაც იმას სასახლე ჰქონდა. ყმამ თან წაიღო, რაკვირველია, იმერლის განუშორებელი ხანჯალი, თოფი, ტიკჭორით ღვინო და იმისი საგზალი. შუაღამე შეიქმნა და აჯამეთში მივიდა. მიდის ხოსიკო ამ ღამე მარტოდ-მარტო გზაზე; ამ დროს უკანიდამ მოესმა ვიღაცის ხმა, რომელიც შორიდამ უძახოდა: „ხოსიკო ნინიკაშვილო, ხოსიკო!“ ხოსიკო შესდგა და გულში იმედი მოეცა; იფიქრა: ვიღაც გამომდგომია და გაიგონა, ვინა ხარო. უცნობი იძახოდა: მანდ მომიცადე, მანდაო. ხოსიკო მივიდა ერთის ხმელის წიფელის ძირს, გაჰკრა კვესაბედი და წაუკიდა ცეცხლი ხმელს ხეს. პატარა ხნის შემდეგ ხოსიკომ დაინახა, რომ მოდის ვიღაცა დიდი „ახმახი“ კაცი და თან ტყე და ველი მოაქვს. ხოსიკომ იცნო ქაჯი და შიშით გაფითრდა. მოვიდა ქაჯი და ულოცა „გამარჯობა“ ხოსიკს, მაგრამ ხოსიკომ ხმა არ გასცა. შემდეგ ქაჯმა ღვინო სთხოვა ხოსიკს და ხოსიკსაც გულში იმა, რომ ქაჯს დავათრობო; მაშინვე ამოიღო ღვინო ხურჯინიდამ და დაალევინა ქაჯს ქაჯი მალე დაითრო და იქვე მიეძინა. ხოსიკსაც ეს უნდოდა. ამოიღო ხანჯალი და იქვე დაასო ტარით და ზევიდამ ნაბადი გადააფარა. თვითონ იქვე ახლო ხის ფუღუროში დაიმალა და თოფიც ორის ტყვიით გასტენა. ხოსიკომ ყველაფერი იცოდა, რაც მოხდებოდა, და ამისათვის უდარაჯებდა ქაჯს. ცოტა ხანს შემდეგ ქაჯმა გამოიღვიძა, თვალები ამოიფშვნიტა და გადაჰხედა ხოსიკის გაკეთებულს ნაბადს. მაშინვე წამოდგა ფეხზე, გულზედ ეკლები აუშვა, ამაღლდა, ამაღლდა, გაშალა კლანჭები და დაეცა ნაბადს. ქაჯს ეგონა, რომ ნაბად ქვეშ ხოსიკს სძინავსო და იმისი გასრესა უნდოდა, მაგრამ ხოსიკის მაგიერ ქაჯი დასობილ ხანჯლის წვერზე დაეცა. ამ დროს ხოსიკომაც ფუღუროდამ თოფი დაუმიზნა და გვერდში ჰკრა ქაჯსა. ქაჯი წამოვარდა გამწარებული; იღრიალა: «ქე არ მომკლა ამ ოჯახ-დაქცეულმაო!» და გაიქცა. ამას შემდეგ ხოსიკო გამოვიდა ფუღუროდგან, მოათრია დიდი ხის ნამორი და ზედ კიდევ ნაბადი გადააფარა. კიდევ ორი ტყვიით გასტენა თოფი და იმავ ფუღუროში ჩაესაფრა. დიდხანს უდარაჯა და შემდეგ დაინახა, რომ მოდის ვიღაც კოჭლი კაცი და მხარზე დიდი ცულაფთი გაუდევია. მოვიდა, აიღო ცულაფთი, დაჰკრა ნაბად გადაფარებულს ნამორს და შუაზე გადასჭრა; თანაც დაატანა: «შენ მომიკალი ჩემი ძმა? ეხლა ეგრე მოგიხდება»... იმასაც ნაბად ქვეშ ხოსიკო ეგონა, მაგრამ მოსტყუვდა. ხოსიკომ იმასაცა ჰკრა თოფი. ქაჯი წამოვარდა, იყვირა: „ორი ძმა მოგიკლამო!“ და ისიც გაიქცა. ამას შემდეგ-კი წამოვიდა ხოსიკო ქუთაისისაკენ და მზის ამოსვლამდე ქუთაისს მოვიდა. შევიდა ბატონის დედასთან და მიართვა ბატონის გამოგზავნილი წერილი. ბატონის დედამ გამოჰკითხა ხოსიკს ამბები, მაგრამ ხოსიკო ხმას არ იღებდა, თურმე შიშით ენა ჩავარდნოდა. ბატონის დედა მაშინვე მიხვდა საქმე რაშიაც იყო. მოიწოდა მღვდლები, აკურთხებინა ზეთი და ხოსიკომაც მხოლოდ მაშინ ამოიღო ენა. ხოსიკო ყველაფერს მოჰყვა, რაც თავზე გარდახდა, მაგრამ არ დაუჯერეს. მაშინ ხოსიკომ უთხრა ბატონის დედას: „გამატანე რამდენიმე კაცი, რომ იმათ ვაჩვენო ის ადგილიო“. ბატონის დედამ მართლაც გაატანა თორმეტი ცხენოსანი კაცი. ესენი მივიდნენ და ნახეს ცეხლის ნაშთები და ნაქცევი სისხლი, გაჰყვნენ ნაწვეთს სისხლსა და მიადგნენ ერთს დიდს კლდეს, საიდამაც დიდის ტირილისა და გლოვის ხმა ისმოდა. თურმე ხოსიკოსაგან დაჭრილი ქაჯები მომკვდარიყვნენ და იმათ სტიროდნენ სხვანი: ზოგი ძმობით, ზოგი მამობით, ზოგი ბიძაობით და სხვა. ცხენოსნები მაშინვე უკან გამოიქცნენ შეშინებულნი და, სანამ ქუთაისში არ ჩამოვიდნენ, უკან აღარ მოუხედნიათ. ყველაფერი ეს ამბავი უამბეს ბატონის დედას...

ამ მაგალითიდამ, სხვათა შორის, ისიცა სჩანს, რომ ქაჯი თავისის მოქმედებითა და ცხოვრებით ძალიანა ჰგავს კაცსა. ქაჯი ტან-მაღალია, მოსული და მკლავებ-წვრილი, კაცსავით ჩვეულებად აქვს: გამოტირილი მიცვალებულისა. ასე გასინჯეთ, რომ ქაჯებს პოლიტიკური წეს-წყობილება და ცხოვრებაც-კი აქვსთ. იმათ ჰყავსთ იგეთივე უფროსები, როგორც კაცთა საზოგადოებაში; ჰყავსთ ერთი თავი უფროსი, რომელსაც ყველა ქაჯნი პატივსა სცემენ. ესა სჩანს შემდეგი მაგალითიდამ:

ერთხელ ექვსნი ცხენოსანნი მოდიოდნენ და ღამე აჯამეთში გამოიარეს. როდესაც ჭიშურის ღელესთან მოვიდნენ, გაღმიდამ გამოდგა ვიღაცა და დაუძახა: „მგზავრებოო“. ცხენოსნებმა გაიგონეს: ვინა ხართ. მაშინ უცნობმა დაიძახა: „თუ ღმერთი გწამსთ, ხანდებში*) რომ გაიაროთ, თითო ხმა დაიძახეთ თუთა სარაბუქელი მოკვდა და თითო ქალმა და კაცმა იტირეთ-თქო“. ცხენოსნები წამოვიდნენ და როდესაც გამოიარეს ხანდებში, ჯერ ვერ გაბედეს დაძახება, მაგრამ შემდეგ დაიძახეს. პირველ დაძახებაზე არაფერი არ იყო, მეორეთაც არაფერი. მესამედ დაიძახეს თუ არა, მაშინვე იზრიალა მთელმა კლდემ, ისე რომ კაცს ეგონებოდა დაინგრაო. ეს იყვნენ ქაჯები, რომლებმაც ამ ამბის გაგებაზე მორთეს ტირილი; გადმოცვივდნენ კლდეებიდამ და გაიქცნენ აჯამეთისაკენ თუთა სარაბუქელის გამოსატირლად. ცხენოსნებმა მაშინვე მოუსვეს ზევითკენ. თუთა სარაბუქელი, ხალხის აზრით, ქაჯების უფროსი უნდა იყოს. შემდეგ თუთა სარაბუქელისა ვინ ამოირჩიეს ქაჯებმა უფროსად, ხალხმა აღარ იცის.

ქაჯს ძალიან ეშინიან ზარისა, ანუ რკინეულობის ხმისა. ქაჯი თუ შემოგხვდათ წინ, უნდა რამე რკინეულობა დაახალოთ ერთმანეთს და ქაჯი მაშინვე მოგშორდებათ და გაიქცევა. მაგალითი:

ერთი კაცი მოდიოდა ღამე და გამოიარა ერთს დიდს ღელეში, რომელიც სოფელზე მოშორებული იყო. ამ ღელის პირში შემოხვდა წინ ორი ქაჯი, რომლებმაც ჭიდაობა გაუპირეს. კაცს თოხები ჰქონდა მხარზე გადებული და გადაჰყარა, რადგან უნდოდა, რომ ქაჯებს სცემოდა. ქაჯებმა გაიგონეს თუ არა თოხების რახინი, მაშინვე დაანებეს კაცს თავი და გადასცვივდნენ.

კორნელი

(დასასრული იქნება)

---

[1] ივანე აბაშიძეს ხალხი მეფედ უწოდებს.

*) ხანდები კლდესა ჰქვიან სახელად. ეს კლდე არის რკინის გზის სადგურთან, ძირულასა და ბელაგორს შუა. ამ კლდეში რკინის გზა გადის.

წოვა თუშები, მას შემდეგ, რაც იგინი ჩამოვიდნენ მთიდამ, დაბანაკდნენ ბარად, გააშენეს ოთხი სოფელი ცოლ-შვილის საცხოვრებლად ზამთრობით და მიითვისეს ქართველთა ზნე-ჩვეულებანი, ენა და სარწმუნოება, ოთხი სოფელი, რომელიც იმათ ბარად გაუშენებიათ, არის: ალვანი, გურგალჭალა (რგვალი ჭალა), ფხაკალყურა (ფხაკალ-კურდღელი) და წოწურა.

თუშებს უფრო ნაკლებად დაუცავათ ძველი ზნე ჩვეულებანი, ქრისტიანობას ბევრით შეუცვლია იმათი მამა პაპური სარწმუნოება, ხატობა და დღესასწაული. ამ მხრივ მეტს ინტერესს წარმოადგენენ ეტნოგრაფიისათვის ფშავ-ხევსურები, რომელთაც შედარებით ნაკლებად შეუცვლევინებიათ თავიანთ ცხოვრებისათვის ფერი, ძველი ნიადაგი ოდნავ შეურყევიათ ახლად შეტანილის წეს-წყობილების გაელენით. თუშეთშიაც ახსოვთ—ხევისბერები, დეკანოზები, ხუცები, მნათეები—მეთაურები ძველის ცხოვრებისა. იგინი ხანდისხან იჩენენ ხოლმე თავს, როგორც წარმომადგენელნი ხალხისა, მაგრამ ძველებური მნიშვნელობა, ანუ ავტორიტეტი სამუდამოდ დაუკარგავთ, ზღუდე იმათის მოქმედებისა ანუ კომპეტენციისა შემოკლებულა და შესუსტებულა.

წინად, ჰფიქრობენ, დეკანოზები იყვნენ წარმომადგენელნი და აღმსრულებელნი სარწმუნოების წესებისა და ჩვეულებისა. ხევის-ბერს-კი ეკუთვნოდა საერო საქმეები—ადმინისტრაცია, მოსამართლისა და ომში წინამძღვარის თანამდებობა. შემდეგ, როცა ქრისტიანობა გავრცელდა მთიულთა შორის და ახალი მოქალაქობრივი წესები შეტანილ იქმნა იმათს სამშობლოში, მაშინ ეს გაყოფილი თანამდებობა დეკანოზთა და ხევის-ბერთა შორის აიწეწა, აირია: ხევის-ბერებზე გადავიდა სარწმუნოებითი მოვალეობა, რაიცა წინად მხოლოდ დეკანოზებს ეკუთვნოდათ. შეიძლება ასე მოხდა იმიტომ, რომ ხალხში უფრო ადვილად ამოიხოცა საერო ჩვეულებანი, ვიდრე სარწმუნოებითი, რომელსაც მეტად მაგრა აქვს ფესვები გადგმული ხალხის მეხსიერებაში, იმის აზროვნობაში. ახლა ხალხი ხევის-ბერსა და დეკანოზს აღარ არჩევს ერთმანეთში, ორივეს ერთსა და იმავე თანამდებობას აწერს ძველის დროიდგან.

ხევის-ბერად ანუ დეკანოზებად (როგორც აწ არეულად უწოდებს ხალხი) ერი ირჩევს ისეთს კაცს, რომელსაც წმინდად და დაუძრახველად გაუტარებია თავისი სიცოცხლე, არაფერში ყოფილა ცუდად შენიშნული თავის მოძმეთაგან. მემკვიდრეობით ხევის-ბერობა არ გადადის. ხევის-ბერს ირჩევს ხალხი მკითხავის წინადადებით, ან ერის თანხმობით შედის ამ თანამდებობის აღსრულებაში ის, ვისაც სურს შესწიროს თავი ხატის სამსახურსა და სცნობს თავისს თავს ღირსად ამ მაღალის დანიშნულებისა. იგი ეხმარება რამდენსამე წელიწადს ხევის-ბერსა და თავისის ერთგულებით ხატისადმი ხდება, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ნაკურთხ ბერად.

რიცხვი ხევის-ბერებისა არ აღემატება 3—4. ერთი მათგანი სუყველაზე უფროსია, დანარჩენნი იმისნი ხელქვეითნი, მორჩილნი არიან. იმათი მოვალეობა მტკიცედ არ არის განსაზღვრული. შეიძლება ვსთქვათ, რომ პირველს ეკუთვნის შეუცილებელი და განუკითხველი უფლება აკურთხოს კურატი, მოუწვას მატყლი წმინდა სანთლით, დალოცოს, დაამწყალობოს და სისხლი კურატისა წაუსვას შუბლზე კეთილ-მორწმუნე შემომწირველს გასამრჯელოში იგი იღებს ბეჭსა და ტყავს კურატისას. მეორე ხევის-ბერი, პირველის ბძანებით, აგროვებს ქადებს, ღვინოს, პურს ლუდის გამოსახდელად, მესამე ხევის-ბერი ლუდსა ხდის. ამ ორივე ხევის-ბერს ეკუთვნის იგივე უფლება, რაც უფროსს ხევის-ბერს; როცა ეს უკანასკნელი დაიღალება, მაშინ იმისს მოვალეობას რიგით შეასრულებენ უმცროსი ხევის-ბერები.

თუ ხევის-ბერს (ანუ დეკანოზს) დავარქმევთ მღვდელ-მთავარს, მაშინ ხუცებს შეგვიძლიან ვუწოდოთ მღვდლები. ხუცებს ნება დართული ჰქონიათ ხევის-ბერისაგან, იმის სხვაგან ყოფნის დროს, აღესრულებინათ ყოველი ის მღვდელ-მოქმედება, რაიცა ხევის-ბერის კომპეტენციას შეადგენდა: წესი დამარხვისა, მონათვლისა და სხვ. შეეძლოთ გაენათლათ სახლი შემდეგ მელოგინობისა, რის გამოც სახლი იპილწებოდა და თხოულობდა ლოცვა-კურთხევით განწმენდას უწმინდურებისაგან. იგი იყო აღჭურვილი უმაღლესის უფლებით დაემწყალობებინა შემწირველი კურატისა და წაეკითხნა გრძელი ლოცვა, ხევის-ბერის მიერ შეთხზული.

ხუცის ქვემოთ იდგა მნათე. მნათე ხევის-ბერის ხელქვეითია. იგი იმისის ბძანებით დაჰკლავს კურატს სიპს ქვაზე—ამ დროს ხევის-ბერი აბძანდება მაღლობ ადგილას და კითხულობს დასამწყალობელს ლოცვას,—იგი უვლის ხატის კურატებს, ვენახებს, ყოველ იმისს შეძლებას და დღესასწაულში ხატის ღვინოს, იმისს დაკლულს კურატებს მოართმევს მლოცავებს. გარდა კურატისა მოჰყავსთ ქათმები, სწირავენ ზარებს, სარტყელს, ღვინოს, ქადებს და სხვ.; შესაწირავის დასახელება ეკუთვნის მკითხავს: რასაც იგი გადასწყვეტს, ცრუ-მორწმუნე თუში დაუყოვნებლივ ასრულებს. ამ სარწმუნოების აღმასრულებელს—ხევის-ბერს (დეკანოზს), ხუცსა, მნათეს ხალხი დიდის მოწიწებით და პატივისცემით ეპყრობა.

მოვიყვან დასამწყალობელს ლოცვას, რომელსაც წამოსთქვამს ხოლმე ხევის-ბერი, ან იმისი თანაშემწე:

> დიდება ღვთისა ძალასა, უფლისა სამართალსა, დიდება ღმერთსა, დიდება მზესა, დიდება მზის ყოველ ანგელოზსა, დიდება შენდა, ძალო ღვთისაო, სამართალო კვირიესაო, დიდება, გამარჯვება, დიდო ლაშარის ჯვარო, დიდება შენდა, დიდო თამარო ნეფეო, დიდება შენდა, ღვთის-მშობელო დედაო, დიდება შენდა, წმინდა გიორგიო, დიდება შენდა, გმირო კოპალეო, დიდად საყუნებელო, ძვირად სახსენებელო, ცამდინ მაღალო, ზღვამდე მაგარო, ღვთის-შვილნო, ღვთის ნაბადებნო, ღვთის კარზედ შამხედნო, საჩივრის შემტანნო, სამართლის გამომტანნო, გეხვეწებიან, გევედრებიან თავის დაბლითა, გულის მართლითა, გახვეწებენ თავისს თავსა, თავისს ცხოვრებასა, თავისს ცოლ-შვილსა, ღმერთო, შეინახე, ღმერთო, კეთილათ დაინახე! ამათ სახლში წასულს მგზავრსა, მოგზაურსა, მწყემსსა, სამწყსოსა ჯვარი დასწერე, ხელი მოუმართე. სნეული შემოგახვეწო, სნეულსაც ულხინე, მოურჩინე, კარგა მყოფიც კარგა ამყოფე, ღირსად აღე ღირსეულადა, ხსნილად კურთხეულადა მორთმეული სამსახური.

ამავე ლოცვას ამბობენ ფშაველები. რადგანაც ამ ლოცვის ვარიანტი ბევრია, მოვიყვან კიდევ ორს ლოცვას ჩემ მიერ ჩაწერილს ფშაველში:

> დიდება შენდა, წმ. გიორგი, ხახმატის ჯვარო, ნალვარ მშვენიერო, შენაც იდიდები ლადგმულის ბარძიმით, დანთებულის სანთლითა, დაქვრეთილი სუფრებითა, შენ შენი ძალა გადიდებს, მორიგე არ მოგიწყინს... რაც მე დიდება დაგაკელი, შენ წყალობას ნუ დააკლებ ამის შემომწირველს.

აი კიდევ ლოცვა ფშავლებისა:

> ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს ლაშარის ჯვარსა შორს მტერზედა, ახლოს ნადირზე, მისცეს წყალობა ქუდოსანს, მანდილოსანს, დიდსა, პატარას, ამ ეკკლესიის კარზე მომსვლელთა, შენ სასიდებლად იყოს, ლაღო ლაშარის-ჯვარო. ამ ლოცვით მწყალობელი იყავ, მეშველ-მწყალობელიც იქნები, დიდება შენდა...

აქვე მოვიყვანთ შესადარებლად მთიულთა ლოცვას, რომელიც მღვდელმა ხარიტონ ინიაშვილმა ჩამაწერინა:

> დიდება ღმერთსა, დიდს ღმერთსა, გაუმარჯვე მზესა, მზის ყოველ ანგელოზსა, გეხვეწებით, გევედრებით ჩვენს (იმისი სახელი, ვისაც ამწყალობლებს), რასაც მხარზე გეხვეწებოდეს, იმ მხარზე შეიხვეწვდი, თუ რამ სნეულება ჰქონდეს, გარდაუგდიდი, თათრის ქვეყანაში (ან დიდს ქალაქებში) მიასწავლიდი, გამოქცევს გამოუყენებდი, მოსწივდი, გამომქცევს გამოახწევდი. ამის ყუდროში ქუდოსან მანდილოსან ჯვარ დაუწერიდი. ნახნავსა, ნამაშვნარსა ბარაქას მისცემდი. ჰფარავდი, შველოდი, სწყალობდი. მუხის წვერის ანგელოზმა გიკურთხოს სასმელ-საჭმელი.

ა. ხახანაშვილი

(შემდეგი იქნება)

◆◆

გერმანია და საფრანგეთი.

საინტერესოა ფიქრი და მოსაზრებანი რუსეთის მწერლისა და რომანისტისა, ბ-ნის პ. ბობორიკინისა, საფრანგეთისა და გერმანიის შესახებ. ბობორიკინს ხშირად და დიდის ხნობით უცხოვრია ამ ორს ქვეყანაში და მით უფრო საყურადღებოა, რა მნიშვნელობასა და თვისებას აწერს ან ერთსა და ან მეორე ერს კაცობრიობის ცხოვრებაში დღესა და შემდეგ.

რომელი ერი სჯობიან ამ ორს ერში? კითხულობს ბობორიკინი და ძალიან უჭირს გადასწყვიტოს ეს საკითხავი, უჭირს იმიტომ-რომ ბევრს სიკეთესა ჰხედავს ერთსაცა და მეორე ერშიაც და უპირატესობა ვერც ერთისთვის ვერ მიუცია.

გერმანელებზე ბობორიკინი ამბობს: როგორც გინდათ შეჰხედეთ ამ ერს, გინდათ, როგორც დიდის ომის მომლოდინეს, გინდათ, როგორც მშვიდობიანად ცხოვრების მოსურნეს. ასე შეჰხედავთ, თუ ისე, უპირველესად ყოვლისა, თქვენ შეჰნიშნავთ, რომ ეს ერი მეტად დამჯდარი, ჭკვა-დაწყნარებული ერია და დიდი უნარიცა აქვს დაიცვას თავისი თავი და თავისი არსებობა. გერმანელებს შეუძლიანთ დაკვეხებითა სთქვან, რომ ხორცითა და ჯანით მაგარი და ამტანი ხალხია. სულითაცა და ზნეობითაც ასეთი მტკიცენი არიან. რომელიც გინდათ გერმანელი აიღეთ, გინდ გლეხი და გინდ ჯარის კაცი, ხელოსანი, მოქალაქე, ყველანი ჯანიანები არიან, ჩასხმულნი, ნამდვილი ბუნების შვილნი, გაურყვნელის ზნე-ხასიათისანი. გერმანელის სიმტკიცე ხასიათისა გათქმულია. ჯარის-კაცთა გაწვრთნილობა და მორჩილება, ესრედ-წოდებული დისციპლინა, ხომ გათქმულია და გათქმული.

თუ გერმანელებმა ვერ გაიმარჯვეს მომავალს ომში, ხომ არც ისე დამარცხდებიან, რომ დამცირდნენ პოლიტიკურად. თუ წააგეს ომი, უფრო მეტად შეჯგუფდებიან, შეერთდებიან, ქვეთკირივით შეედუღებიან ერთმანეთს და მეტის სიყვარულით დაუწყებენ დაცვას თავიანთს სამშობლოს. ტყუილია, ვითომ გერმანიის თემნი აქეთ-იქით გაიწევენო. ეხლა ის დრო აღარ არის. მცირედი დამარცხება უფრო გააძლიერებს საერთო მამულიშვილობას. კერძო მამულიშვილობა და სიყვარული ბავარიელისა, ვირტემბერგისა, ჰანოვერისა და სხვა სათემო პატრიოტობა გაჰქრება და დაიბადება შეგნებული, უფრო მეტად ძლიერი მამულიშვილობა გერმანელისა.

გაიმარჯვებს თუ დამარცხდება, გერმანიას მაინც აზრად ისა აქვს, რომ დაიცვას თავისი თავი, აშინოს ყველა, არავის დაუთმოს თავისი მიწა-წყალი, იმიტომ-რომ მეტი ღონე არა აქვს, ხალხი ბევრი ასხია, მიწა-კი ღარიბი და მწირია და ადგილ-მდებარეობაც ისეთი უჭირავს, რომ ოთხ-კუთხივ უცხო სახელმწიფონი და ერნი არტყიან.

ყოველივე ესე კარგი და პატიოსანი, მაგრამ, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, რას მისცემს, რას შესძენს და შეჰმატებს გერმანია, თუ გინდა გამარჯვებულიც იყოს, დანარჩენს კაცობრიობას? ვსთქვათ, რომ მეტად ძლიერი სახელმწიფოც არის, ევროპის კონცერტში უმთავრესი ადგილი უჭირავს. ის ხომ არა კმარა გონება-წარმატებულის კაცობრიობისათვის, რომ გერმანია თვითონ იყოს სიკეთეში; საჭიროა ისეთი ფიქრი და აზრიც მოჰქონდეს თან, რომელიც განაახლებდეს მთელს კაცობრიობას.

აი ეს არის გერმანიის უბედურება, რომ ჯერ იგი მხოლოდ თავისთვის სცხოვრებს და კიდევ დიდხანს იცხოვრებს თავისთვის. გერმანიას ჯერ თვითონაც ბევრი რამ უჭირს, რომ სხვას გაუზიაროს რამე, სხვას უხელმძღვანელოს, გზა უნათოს დიდ-სულოვნობითა.

ვსთქვათ, დაიღუპა ერთს მშვენიერს დღეს ეს უძლიერესი სახელმწიფო. რას დაჰკარგავს დანარჩენი ქვეყანა? დიდს არაფერს. იმას, რასაც ისინი აკეთებენ და ფიქრობენ სასარგებლოს, სხვა ერნიც გააკეთებენ და იფიქრებენ. იმათ უნდათ კეთილდღეობა. ძალიან კარგი. უფლებაცა აქვთ სრული. მაგრამ იმათი კეთილდღეობა სხვას არას არ უმზადებს სახელოვანსა და საქებურს.

საფრანგეთი-და?..

გთხოვთ, ნუ შემწამებთ, რომ მე ვითომ ჰკრეფული მოყვარე ვარ ამ ქვეყნისა; ბევრი მიწერია საფრანგეთზე ავი და ეს არ ითქმის ჩემზე. მართალიც არის, ბევრი ისეთი ზნე-ჩვეულებაა ფრანგებში, რომ თავად საფრანგეთიცა სწუხს და ჰკოდებს.

თუნდა პარიჟი აიღოთ. ვერც ერთი ქალაქი დედამიწის ზურგზე ისე ვერ გაიტაცებს უცხოელს, როგორც პარიჟი, მაგრამ დააკვირდით კარგა ამ ქალაქს, როგორც რესპუბლიკის სამეუფო ქალაქს, და შეჰნიშნავთ, რომ იგია ბუდე ყოველ გვარის მტაცებლობისა, პატივ-მოყვარეობისა და ბიწიერებისა.

«პარიჟი საფრანგეთი არ არისო!» იქნება მითხრათ თქვენ. მართალია, მაგრამ ყველა პარიჟს ებაძება. პროვინციას თავისებურობა პარიჟმა წაართვა. გლეხ-კაცობა მისდევს მხოლოდ თავისს ჯიბესა და სარგებლობას, დანარჩენი ყოველივე ფეხებზედ ჰკიდია. მუშა ხალხი ქალაქებში ადრე და მალევე ეჩვევიან გარყვნილსა და ბიწიერს ცხოვრებას. ჯარი 15 წელიწადია ემზადება შურის საძიებლად, მაგრამ ყველა ამბობს, რომ იქაური ჯარის-კაცი ისეთი მტკიცე და ბურჯიეთ მაგარი არ არის, როგორც გერმანელი ჯარის-კაციო.

გაბრწყინვალებული პარიჟი აუარებელს ფულსა ჰხარჯავს, სჭამს, ქეიფობს, ლხინობს და არაფერს-კი არ აკეთებს ერისთვის, მუშა ხალხისთვის.

მაგრამ მაინც უყვარს კაცს საფრანგეთი და მაინცა. უყვარს პარიჟიცა და მხურვალედა სურს საფრანგეთის ერისათვის, მალე მოიშოროს თავიდამ ომის სურვილი და დაადგეს თავისის ყოფა-ცხოვრების განკარგებას. ათასი აძაგო ფრანგები, მაინც ჰგრძნობ გულში, რომ ეს ერი ერთად-ერთი ერია, რომელიც თითქო განგებ მოუწოდებია ისტორიულს ბედს დიდისა და სახელოვანის საქმისათვის. აი რა საქმეა ეს დიდი საქმე: ყველაფერს თავის თავზე სცდის ეს დიდებული ერი და მერე სხვას ისე ატყობინებს, აი რა მოუხდება ქვეყანას და რა-არაო. საფრანგეთი სხვასაც წინა სწევს, სხვასაც უზიარებს, რაც რამ სიკეთე მოეძებნება; სხვასაც-კი არა, მთელს ქვეყანას, მთელს კაცობრიობას. საფრანგეთი დიდი ლამპარია, სხვის გასანათებლად შექმნილი. დღესაც ეს მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყანას. დღესაც განუწყვეტელი მუშაობაა იქ. დიაღ, იქ ეძებენ ქვეყნისა და კაცობრიობის გამაბედნიერებელს აზრებს, დღესაც იქ უნდათ მოიპოვონ ბედნიერება ადამიანისათვის, დღესაც იქ ეძებენ წყლულის გულის მალამოს. ღმერთმა-კი ნუ ჰქმნას და რომ ფიქრით მაინც ვიფიქროთ, აი პარიჟი და საფრანგეთი აღარ არსებობს დღეის იქითაო, ცივი ოფლი დაგვასხამდა ყველას, სისხლი შესდგებოდა ძარღვებში და ჩამოვარდებოდა საშინელი მოწყენილობა, უარარაობა, თუმცა აუარებლადაც გამრავლებულიყვნენ მოსაქმე გერმანელნი და ზრდილნი ბრიტანელნი.

◆

უცხოეთი

გერმანია. უცნაური ლაპარაკი იციან დიპლომატების გაზეთებმა: დღეს რომ ერთს იტყვიან, ხვალ სულ გადააბრუნებენ თავიანთს სიტყვას. როცა სწორე ლაპარაკი გაუვათ, სწორედ მოჰყვებიან ლაპარაკს; როცა მრუდე და უკუღმა ლაპარაკია უფრო მოსახერხებელი და სასარგებლო, მაშინ ამ მრუდე და უკუღმა ლაპარაკს მოჰყვებიან. ჩრდილო-გერმანიის საყოველთაო გაზეთმა ცხადი მაგალითი წარმოგვიდგინა ასეთის გადატრიალ-გადმოტრიალებისა ამ ბოლოს დროს. ამ გაზეთმა, როცა შეიტყო, რომ ბულანჟეს საქმე კვლავ კარგად მიდის საფრანგეთშიო, აიღო და გამოაცხადა: თუ ბულანჟე თავი კაცი შეიქმნა, გერმანიას შეუძლიან მშვიდობიანად მოთავსდეს და მორიგდეს საფრანგეთთანაო. ამას ამბობს გაზეთი დღეს. წინად-კი ისიცა და სხვა ოფიციოზური გაზეთებიც გაიძახოდნენ, ბულანჟე საშიში კაცია მშვიდობიანობისათვის, ის ემუქრება ევროპას, იმისი მეთაურობა და ომის დაწყება ერთი იქნებაო. როცა ერის შეშინება უნდოდათ, დაიძახებდნენ ხოლმე «არი-

ქათ, ბულანჟე მოდისო!» რა არის მიზეზი, რომ გაზეთი ბისმარკისა ასე გადატრიალდა და არა ერთი და ორი გააკვირვა და განცვიფრა. მაშაო, — უკვირთ ახლა, — ბულანჟეს უნდა ვსცემდეთ პატივსა, რაკი იმისი გაძლიერება მშვიდობიანობის მომასწავებელი ყოფილაო; მაშ ევროპას უნდა უხაროდეს, რომ ბულანჟემ გაიმარჯვა არჩევანებზეო. მაგრამ არა, საფრანგეთი მალე მიუხვდა გაზეთს ეშმაკობას. ბისმარკის გაზეთს უნდოდა ამით კისერზე გადაეგდო საფრანგეთი და სრული გამარჯვება მიენიჭებინა იმისთვის, რათა მით უფრო დაემცირებინა ეს ქვეყანა. მაგრამ ფრანგნი განზე გაუდგნენ ასეთს ხერხს. ისინი ამბობენ, რომ ბისმარკის გაზეთს ის ახარებს მუდამ, რაც ჩვენთვის სათაკილო და სამარცხვინო უნდა იყოსო. ჩვენ ბულანჟეს იმიტომ გვიქებენ, რომ არჩევანებზე მეტი კენჭი მივსცეთ, მაგრამ მავითი ვერ მოგვატყუებენ და ტყუილად ჰხარჯავენ ტყვია-წამალსაო. თუ ისინი იცნობენ ბულანჟეს, ჩვენც ნაკლებად არ ვიცნობთო. ჩვენის შეჭედილის ხატის ამბავი ჩვენ უფრო ვიცითო.

◆◆

წვრილი ამბები

ამერიკის ერთს გაზეთში ამას წინად შემდეგი სასაცილო ამბავი იყო თურმე დაბეჭდილი: „ამ კვირას, ოთხშაბათს, ჩარლზ ჯონსონმა ჯვარი დაიწერა მის უსტზე.

„დღევანდლამდე მათ შორის არავითარი უსიამოვნება არ მომხდარა და იმათი მახლობლები დარწმუნებულნი არიან, რომ არც შემდეგ მოუვათ უსიამოვნება“.

მეორე დღეს გაზეთს გამოუცხადებია, რომ მეორე ნაწილი შენიშვნისა მუშათა შორის ატეხილს არეულობას ეკუთვნოდა და სტამბის უყურადღებობით მისტერ ჯონსონის ქორწინების ამბისთვის მიუკერებიათო.

— ბრეტანში ჩვეულებად არის თურმე, რომ ქორწინების შემდეგ ქმარი ახლად შერთულს ცოლს კბილებში მუშტს არტყავს და თან ეუბნება: „აი, ასე მოგხვდება ხოლმე, როცა-კი გამაჯავრებო“; ამის შემდეგ ჰკოცნის და თან ამბობს: „აი, ამას-კი მაშინ მიიღებ, როცა მასიამოვნებო“. ამ რამდენისამე ხნის წინად ერთს ბრეტანელს ცოლი შეურთავს და, ჩვეულებისამებრ, კბილებში მუშტი გაურტყავს. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ეს ჩვეულება არა სცოდნია, ძალიან გამწყრალა, გაუშლია და ერთი ლაზათიანი სილა უთხლეშნია. ბრეტანელი მეტად გაოცებულა, ატეხილა ერთი უშველებელი დავიდარაბა და საქმე ძალიან გამწვავებოდა თურმე, ერთმანეთისათვის რომ არ აეხსნათ, რომ ჩვეულება მოითხოვს კბილებში მუშტსაო.

— ორლენდეს საბანაოებზედ მისულა, სხვათა შორის, ერთი ლამაზი ქალი, ცოლი ერთის ვენელის ვაჭრისა. რაღა თქმა უნდა, ყმაწვილს ქალს მაშინვე დიდ-ძალი თაყვანის-მცემლები გამოსჩენია. ეს სწყენია ქალის ქმრის მეგობარს, რომელიც რაღაც საქმის გამო ვენაში უნდა წასულიყო, და მიუწერია თავისის მეგობრისთვის: „მოდი და ცოლს მოუარე, თორემ ძალიან თავ-ქარიანად იქცევა, ყველას ეალერსება და ემანჭ-ეგრიხებაო“. ამ წერილზედ ქალის ქმრისაგან შემდეგი პასუხი მიუღია: „გმადლობ მაგ ამბის შეტყობინებისათვის, მანდეთ არ მომეჩქარება, არა უშავს-რა, თუ ჩემი ცოლი ყველას ეარშიყება; ხოლო თუ ერთს რომელსამე დაუწყოს ალერსი და არშიყი, დაუყოვნებლივ შემატყობინეო“.

— ვლოცლავეკში ამას წინად ერთს 88 წლის მოხუცს თავი მოუკლავს. ამ თავის მოკვლის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ამ მოხუცს ორგულობის ეჭვი აუღია თავისს 53 წლის ცოლზე, გაბრაზებულა და სიცოცხლე მოუსპია.

— ნიუ-იორკის გაზეთებში ერთი ამბავია მოთხრობილი საკვირველისა და საოცარის მეგობრობისა. ვიღაც მაკ-კარტი ერთს საღამოს 1881 წლისას შესულა ყავახანაში და აქ ვიღაც სამს იტალიელს წასჩხუბებია. ეს ჩხუბი კრივად გადაქცეულა და მაკ-კარტი დანით ხელში მივარდნია მოწინააღმდეგებს, მაგრამ ხელიდგან წაუგლეჯიათ. ამასობაში ერთს სამთაგანს იტალიელსაც ხანჯალი ამოუღია და ის-ის იყო თურმე უნდოდა მოეკლა მაკ-კარტი, მაგრამ ამ დროს ჩხუბში ჩარეულა ვიღაც, ხანჯალი წაურთმევია იტალიელისთვის, უთხლეშნია და იქვე მოუკლავს. უცნობი გამქრალა. მკვლელის სამის წლის ძებნის შემდეგ პოლიციას დაუპატიმრებია მაკ-კარტი. მაკ-კარტის არა სდომებია კაცის მკვლელის სახელის გამომჟღავნება, რადგან იმისი მეგობარი ყოფილა, თითონ უკისრნია დანაშაული და თორმეტის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტიათ მოსამართლეებს. ხოლო ამ დღეებში იმისს მეგობარს სიკვდილის წინად უღიარებია, რომ მკვლელი მე ვარო, და საბრალო მაკ-კარტი, ოთხის წლის ციხეში ჯდომის შემდეგ, მაშინვე გაუთავისუფლებიათ.

დეპეშა

20 აგვისტო

გმუნდენი. დღეს იმპერატორი ფრანც-იოსები მოვიდა გმუნდენს; ფრანც-იოსებს უნდა ნახოს ხელმწიფე იმპერატრიცა. იმპერატორს ვოგზალზე მიეგებნენ მემკვიდრე ცესარევიჩი და ჰერცოგი კუნბერლენისა, იმპერატორი რუსის მუნდირში იყო, მემკვიდრე ცესარევიჩი ავსტრიისაში. ხელმწიფე იმპერატრიცა მიეგება იმპერატორს კუნბერლენდის სასახლის კიბეზე. ნაშუადღევის პირველს საათზე ისადილეს; სამს საათზე იპერატორი ავსტრიისა წავიდა გმუნდენიდგან.

21 აგვისტო

პეტერბურგი. გაზეთ „Новое Время“-ს შეუტყვია, რომ სამარა-უფის რკინის გზა გაიმართება 8 ენკენის თვეს; გამართვაზე დაესწრება გზათა მინისტრი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მდ. ვოლგასა და ოკაში წყალი კლებულობს. გუშინდელ დღიდგან დაიკლო ორს გოჯზე. წყალმა დაჰფარა გარებანოვის რიყე. 60,000 ფუთამდე ფურცლეული რკინა წყალშია. მექარხნეებს თითო ფუთზე 20 კაპ. ზარალი მიეცემათ. რკინეულობის გაყიდვა გაძნელდება. მუშტრები გვიან მოვლენ. რკინეულობის ვაჭრობას ვერ მორჩებიან პირველ ოქტომბრამდე. რკინის მოვაჭრე პასტუხოვი ყოველ დღე ჰყიდის 20,000 ფუთსა. სორმოვის ქარხანას შეუკვეთეს გემი 40,000 მანეთად. პურის ვაჭრობა თანდათან უკეთ მიდის. დიკის ფქვილი 5 მ. 50 კაპიკამდე ავიდა. ბრინჯი ერთს ფასზე დგას. გუშინ ასტრახანიდგან ნიჟნი-ნოვგოროდში გამოგზავნეს ნავთის ნივთიერებანი და მაზუტი 300,000 ფუთამდე, ფუთი ხუთ კაპიკად. პური არ გამოუგზავნიათ.

ბელგრადი. მეფემ სთხოვა კონსისტორიას სამის თთვის ვადით გადასდონ განქორწინების საქმე.

ტულონი. სამუნიციპალო საბჭოს ბანკეტზე ფლოკემ სიტყვა წარმოსთქვა; ფლოკე რესპუბლიკელებს ერთობას ურჩევს, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ავანტიურისტების დიქტატურას და მონარქიელთ წადილსაო.

ვენა. ერც-ჰერცოგი კარლ-ლუდვიგი და იმისი მეუღლე დაბრუნდნენ ბერლინიდგან ნაშუადღევს; დღეს საღამოს წავლენ პრერაუში, სადაც ხვალ დილას უნდა მოვიდნენ გმუნდენიდგან ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და იმისი უმაღლესობა ქსენია ალექსანდრეს ასული. ნახევარის საათის შემდეგ რუსის უავგუსტოესნი გვამნი წამოვლენ რუსეთს, ხოლო ერც-ჰერცოგი მეუღლითურთ წავა ვენაში.

22 აგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე გუშინ საღამოს წაბძანდნენ ილინსკოიდამ პეტერბურგს.

ვენა. შაბათს საღამოს ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და ქსენია ალექსანდრეს ასული წაბძანდნენ გმუნდენიდამ პეტერბურგს. ვოგზალამდე მიაცილეს ჰანოვერის დედოფალმა, პრინცესამ მარია ჰანოვერისამ, ჰერცოგმა კუმბერლანდისამ და პრინცესამ უელსისამ თავისის ქალიშვილებითურთ. გუშინ საღამოს პრერაუს სადგურთან ხელმწიფე იმპერატრიცას მიეგება ერც-ჰერცოგი კარლოს-ლუდვიგი და მისი მეუღლე და გააცილეს მათი უდიდებულესობა ზაუხტელის სადგურამდე.

ბუქარესტი აქ მობძანდა დედოფალი სერბიისა და ჩამოხდა თავისს ნათესავ თავად გიკასთან.

მოსკოვი. აქ ბევრს ყიდულობენ ჰვავის პურის ფქვილსა, რადგან ასეთი ფქვილები ცოტაა შემოსული, ამიტომ მისმა ფასმა 1 მანათი მოიმატა თითო კულზედ. კურსკისა და რიაზანის გზიდამ ცოტა პური შემოდის ჯერ-ჯერობით. იმედი აქვთ, რომ სექტემბრის დამდეგს, ლეწვის შემდეგ, პური ბლომად შემოვაო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 აგვისტო

	მყიდველნი. მან. კ.	გამყიდველნი. მან. კ.	გაყიდულნი. მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— „	— „	8 04
ტამოჟნის კუპონები	— „	— „	159½
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	1 26	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	267½	— „	— „
—მეორისა	247½	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	98 „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	98 „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	82½	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
აგვისტო 31 დღით არის.

23 დღე სამშაბათი. წამ. ირინესი. კათოლ. ლეოკადიისა. სომეხ. ანნასი. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—30. მთვარე 28 დღისაა.

24 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ევტიხისა. კათოლ. ტერეზიასი და ბართლომესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ მე-28 რიცხვი თთვისა ზილ ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—28. მთვარე 24 დღისაა.

◆

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა	3	„
„ 2 „	2½	„
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	„
„ „ 2 —	3½	„
„ „ 3 „	3	„
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა	5	„
მე-2 ხარისხისა	4	„
მე-3 —	„	„
ძროხის ხორცი	8	„
„ 2 „	7	„
სუკი	14	„
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8	„
ღორის ხორცი	„	„
„ 2 „	„	„

განცხადებანი

სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

ნიკოლ. ქ., სახლი № 21, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ამზადებს ბავშვებს ყოველ საშუალო სასწავლებლებისათვის. დაწვრილებითი პირობანი მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ თვით სასწავლებელში. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბერს. (10—1)

ქ. გორში, ორლოვის ქუჩაზე, თვალიევის სახლში გაემართე ერთკლასიანი კერძო სასწავლებელი ვაჟთათვის. ამ სასწავლებელს საგნად აქვს მისცეს ყმაწვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა-ცოდნა და აგრეთვე მოამზადოს იგინი სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პირველ კლასებში შესასვლელად. მიღება ყმაწვილებისა დაიწყება 25 მარიამობისთვიდგან. სწავლის ფასი თითოზედ თვეში 2 მანათი.

კონსტანტინე გრ. ძე ცხვედაძე
(10—8)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან	„	40
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ	„	15
სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა	›	40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ.	1	50
II ნაწ.	1	50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა	„	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ	„	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	„	50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც.	3	„
მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა	„	25
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	20
ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ	„	50
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე)	3	50
ვაზის ობი	„	10
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი	„	30
ლოცვანი, ღამბაშიძისა	„	30
სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან	„	5
მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა	„	5
გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა	„	25
ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა	1	„
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა	„	40
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა	„	15
გულივერის მოგზაურობა	„	50

სკოლა და პანსიონი

მ. ა. ნასიძისა

(ყუკიაში, ელისაბედის ქუჩაზედ, თ. ანდრონიკაშვილის სახლებში, № 93)

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიის, რეალურ და საქალაქო სასწავლებლის პირველს კლასისათვის. გარედამ მოსიარულე მოწაფენი იხდიან თვეში 5 მანათს, პანსიონში მცხოვრებნი 25 მანათს. (10—1)

კიოლერის კოლდ-კრემი

ყოველთვის განირჩევა თავისის სიახლით და აგრეთვე შენარევით. იგი შედგენილია იმისთანა ნივთიერებისაგან, რომელიც კანს არბილებს. ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კიოლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზე 3—2 (ц)

Доз. ценз. Тифлисъ, 22-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე